



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia

**erim**  
Equal Rights  
& Independent  
Media



## წინასწარჩევნო და პოსტსაარჩევნო გარემოს მედიამონიტორინგი

*შუალედური ანგარიში*



მედიის ინსტიტუტი

2020



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



*კვლევა მომზადებულია მედიის ინსტიტუტის მიერ, რეგიონული პროექტის “COVID-19: სამოქალაქო საზოგადოების მოქნილობა და მდგარადობის” ფარგლებში, რომელსაც ERIM (ყოფილი IREX Europe) და თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი ევროკავშირის ფინანსური მხადრატყერით ახორციელებს. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ანგარიშის ავტორებს და შეიძლება, არ გამოხატავდეს დონორთა პოზიციას.*

ავტორები: გიორგი ტყეშუჩავა  
თეონა სეხნიაშვილი  
ლაზარე ჯიბლაძე

*აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.*

არასამთავრობო ორგანიზაცია მედიის ინსტიტუტი 2012 წელს დაარსდა. მისი მიზანია საქართველოში დამოუკიდებელი და დაბალანსებული მედიის განვითარების ხელშეწყობა, მედიის ანგარიშვალდებულებისა და თვითრეგულირების ხელშეწყობა, გამომხატვის თავისუფლების პრინციპების დაცვა და პოპულარიზაცია, მედიის პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა და ადამიანის უფლებების ჟურნალისტიკის განვითარება.

მისამართი: თბილისი, აკ. გახოკიძის ქ. # 11ა, III სართული.  
ტელ: (+599) 599 99 56 66  
ელ. ფოსტა: [mediainstituti@gmail.com](mailto:mediainstituti@gmail.com)  
<https://www.facebook.com/Instituteofmedia>

## სარჩევი

შესავალი .....	4
მეთოდოლოგია .....	6
პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი.....	7
პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიები.....	9
ანტიდასავლური პროპაგანდა.....	14
<b>Covid-19</b> და პროპაგანდა.....	17
პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტები.....	20
დასკვნა .....	23

## შესავალი

საქართველოში მედია პლურალისტური, მაგრამ მკვეთრად პოლარიზებულია, რასაც არაერთი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის ანგარიშებიც ადასტურებს. “რეპორტიორები საზღვრების გარეშე” დასკვნის თანახმად, ბოლო წლების რეფორმებმა პროგრესი შესაძლებელი გახადეს, თუმცა, მედიასაშუალებების მფლობელები ისევ ხშირად განსაზღვრავენ სარედაქციო შინაარსს.<sup>1</sup> “ფრიდომ ჰაუსის” წლიურ მოხსენებაში საქართველოზე კი წერია, რომ ქვეყანაში მედიაგარემო პლურალისტური, თუმცა ტენდენციურია.<sup>2</sup>

ამასთან, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ანგარიშის მიხედვით, შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა კერძო მაუწყებელი შესამჩნევად მიკერძოებული იყო.<sup>3</sup>

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თანახმად, პოლარიზებული მედიის გამო, პარტიებისა და კანდიდატებისათვის, სატელევიზიო დრო თანაბრად არ იყო ხელმისაწვდომი. ამასთან, პარტიებთან პოლიტიკურად დაახლოებულ მედია საშუალებებში რეგულარულად შუქდებოდა მხოლოდ ყველაზე მსხვილი და გამოცდილი პარტიების - მათ შორის, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიები.<sup>4</sup>

როგორც მედია, ისე პოლიტიკური პოლარიზაცია, განსაკუთრებით მკვეთრია წინასაარჩევნო პერიოდში. ეს პრობლემა ნათლად დაგვიანახა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო გარემოზე დაკვირვებამ, როდესაც, Covid-19-ის მასშტაბური გავრცელების გამო შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკურმა დებატებმა, ძირითადად, მედიასივრცეში გადაინაცვლა. შესაბამისად, მმართველი ძალისა და მისი მოწინააღმდეგე ოპოზიციური პარტიების მთავარ მიზანს სწორედ მედიასაშუალებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რისთვისაც ისინი პროპაგანდის სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ.

პოლიტიკური და მედიაგარემოს პოლარიზაციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მმართველი ძალის წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ ოპოზიციურად განწყობილ ტელეკომპანიებს - „მთავარ არხს“, „TV პირველს“, და “ფორმულას” იმ ფონზე, როცა “ქართული ოცნების” წევრები ხშირად იყვნენ წარმოდგენილი „იმედისა” და „POSTV-ის” ეთერებში. ამასთან, ტელეკომპანია “იმედისა” და “POSTV-ის” ეთერში, მედიის ინსტიტუტის მონიტორინგის განმავლობაში, არ ყოფილა წარმოდგენილი არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი,

<sup>1</sup> იხ.: „რეპორტიორები საზღვრების გარეშე”: <https://bit.ly/35LjMrJ>.

<sup>2</sup> იხ.: Freedom in the World, 2020: <https://bit.ly/2XJqtpV>.

<sup>3</sup> იხ.: საქართველო – საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, OSCE/ODIHR; გვ. 24. <https://bit.ly/3oQTtYS>.

<sup>4</sup> იხ.: ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI); გვ. 16. <https://bit.ly/3bJaXm6>.

ხოლო გადაცემების მთავარი გზავნილები დიდწილად იმეორებდა ქართული ოცნების ლიდერების გზავნილებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წლის საარჩევნო პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური დებატების ნაკლებობა პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლებს შორის.

მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ახალ ამბებს ტელევიზიის საშუალებით იგებს, NDI-ის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა სატელევიზიო არხებს მიკერძოებულად მიიჩნევს<sup>5</sup>. ასევე, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაბრკოლებები ექმნებოდათ იმ მედიასაშუალებებთან წვდომაზე, რომლებიც მათ მიმართ პოლიტიკურად მიკერძოებულნი არ არიან.<sup>6</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამგვარმა დაბრკოლებებმა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში შეუშალა ხელი.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2020 წლის 15 ოქტომბრიდან, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მონიტორინგის შედეგებს. საანგარიშო პერიოდში, მედიის ინსტიტუტის მონიტორინგი აკვირდებოდნენ როგორც სატელევიზიო მედიასაშუალებებს, ისე ონლაინ მედიას. **კერძოდ, მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ მედიასაშუალებებსა და გადაცემებზე: ტელეკომპანია იმედი (გადაცემები - "ფეისბურგი" და "არენა"), ტელეკომპანია პირველი (თოქ-შოუ "რეაქცია"), ტელეკომპანია ობიექტივი (გადაცემა "ღამის სტუდია"), ტელეკომპანია ფორმულა (გადაცემები - "პოლიტიკის ფორმულა"; "ვის ირჩევს საქართველო"; მთავარი არხი (გადაცემა "მთავარი აქცენტები"). ასევე, მონიტორინგი განხორციელდა ონლაინ მედიაზე: ტაბულა; პუბლიკა; საქართველო და მსოფლიო, და საქინფორმი.**

ანგარიშში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კონტენტ-ანალიზი. ანგარიშის მიზანია, ერთი მხრივ, გამოავლინოს პროპაგანდის ის ტექნიკები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ქართულ მედიაში, წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის მიხედვით, ანალიზებს პოლიტიკოსების რიტორიკას და ავლენს კოდექსის დარღვევის ფაქტებს.

<sup>5</sup> იხ.: „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები,” NDI; 16 იანვარი, 2020, <https://bit.ly/3igS2Ag>.

<sup>6</sup> იხ.: ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI); გვ. 25. <https://bit.ly/3bJaXm6>.

## მეთოდოლოგია

### პროპაგანდის ტექნიკები და მეთოდები

პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დეფინიცია აღნიშნავს მიზანმიმართულ, სისტემატიურ მცდელობას, მოახდინოს აღქმების ფორმირება, კოგნიციების მანიპულაცია და ისეთი ქმედებების ნახალისება, რომლებიც პროპაგანდისტის მიზნებს ემსახურება.<sup>7</sup>

პროპაგანდის გზავნილების უმეტესობა ლოგიკურ ცდომილებებად კლასიფიცირდება, ვინაიდან, პროპაგანდისტები იყენებენ ერთი შეხედვით დამაჯერებელ, თუმცა არავალიდურ, არალოგიკურ არგუმენტებს. პროპაგანდის იდენტიფიცირებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია პროპაგანდის კონკრეტული ტექნიკებისა და ლოგიკური ცდომილებების ცოდნა. წინამდებარე ანგარიში მედიასაშუალებებისა და პოლიტიკური სუბიექტების გზავნილებს სწორედ პროპაგანდის ტექნიკების შუქზე აანალიზებს.

### **მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი ტექნიკების გამოყენება:**

- **ად ჰომინემ** - კონკრეტულ ორგანიზაციებსა თუ პიროვნებებზე თავდასხმასა და მათ დემონიზება არგუმენტირებული მსჯელობის ნაცვლად.
- **მცდარი განზოგადება** - დასკვნების გამოტანა კონკრეტული, არასაკმარისი მაგალითების მიხედვით; მოვლენების განზოგადება მათი დრამატიზების მიზნით.
- **მცდარი დილემა/მცდარი დიქტომია** - ორი ალტერნატიული პოზიციის წარმოდგენა და ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭება, მაშინ როცა კონფლიქტი ამ ალტერნატივებს შორის ილუზორულია.
- **კონტრბრალდებები (Whataboutism)** - ბრალდებებზე პასუხის გაცემის ნაცვლად, ან საპირისპირო ბრალდებების წამოყენება ან აქცენტი სხვა საკითხზე გადატანა.
- **სიმულაციური მტკიცებულებების შექმნა** - ავთენტური დოკუმენტების/ფაქტების გამოყენება, რომლებიც მტკიცებულებების ილუზიას ქმნიან, მაგრამ რეალურად არარელევანტურია იმ განცხადებებთან თუ ბრალდებებთან მიმართებით, რომელთა საილუსტრაციოდაც არის გამოყენებული.
- **ციტატის, წყაროს და კონტექსტის შეცვლა** - ფაქტების, განცხადებების და წყაროების არასწორად ინტერპრეტირება, აუდიტორიაში ეჭვების დათესვის და მცდარი წარმოდგენების შექმნის მიზნით.

<sup>7</sup> იხ.: Garth Jowett, Victoria O'Donnell (2015), *Propaganda and Persuasion*, Sage Publications.

- **კარტების დანყოფილება** - ინფორმაციის ნაწილობრივი, ერთმხრივი გაშუქება.

- **აპელირება ემოციაზე/აპელირება შიშზე** - აუდიტორიის დარწმუნების მიზნით, მისი ემოციებით მანიპულირება, ლოგიკური არგუმენტების შეთავაზების ნაცვლად. წინასაარჩევნო პერიოდში ხშირია აპელირება შიშზე, რასაც მომხსენებელი იყენებს აუდიტორიის დასარწმუნებლად იმაში, რომ კონკრეტული პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლას გარდაუვლად დრამატული შედეგები მოჰყვება.

- **Ad nauseum** - ერთი და იმავე აზრის დაუსრულებლად და ხშირად გამოყენება, რაც ზრდის აუდიტორიის მიერ მისი დაჯერების ალბათობას.<sup>8</sup>

ამასთან, მონიტორინგის ფარგლებში, გარდა კონკრეტულ სატელევიზიო არხებზე გამოყენებული პროპაგანდის ტექნიკებისა, ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებული სიძულვილის ენის გამოყენების, გენდერული სტერეოტიპების, ჰომოფობიისა და სექსიზმის წამახალისებელ განცხადებებზე.

## პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი

პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი<sup>9</sup>, რომელიც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, შვეიცარიის სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით შეიქმნა, წარმოადგენს ნებაყოფლობითი ეთიკის ნორმების ერთობლიობას და მიზნად ისახავს როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ისე ინკლუზიური და პროგრამაზე ორიენტირებული საარჩევნო კამპანიის წარმოებას.<sup>10</sup> პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს 40-მა პარტიამ მოაწერა ხელი<sup>11</sup>

კოდექსის მიხედვით, რომელიც ოთხი თავისგან შედგება, ხელმომწერმა პარტიებმა აღიარეს კანონის უზენაესობა, რომ იმოქმედებდნენ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, პატივს სცემდნენ ყველა პოლიტიკურ პარტიის, კანდიდატისა და ამომრჩეველთა უფლებებს, არ გამოიყენებდნენ სიძულვილის, ქსენოფობიის ან მუქარის ენას, და ყველაფერს გააკეთებდნენ მშვიდი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად. ასევე, პარტიებმა აიღეს პასუხისმგებლობა, რომ ხელს არ შეუშლიდნენ კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგენტო მასალის გავრცელებას, მათ შორის არ განახორციელებდნენ და დაგმობდნენ კონკურენტი პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე საკუთარი აქტივისტებისა და

<sup>8</sup> იხ. მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორია: პროპაგანდა <https://bit.ly/3omVHOx>; იხ. ასევე: Purdue online writing lab: Logical Fallacies : <https://bit.ly/39mi7Yj>

<sup>9</sup> იხ.: პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. <https://bit.ly/3bUIQ4K>.

<sup>10</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2LWr1WB>

<sup>11</sup> იხ.: საქართველო – საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, OSCE/ODIHR: <https://bit.ly/3inJ7x1>

მხარდამჭერების მობილიზებას და დაპირისპირებას. ხელმომწერმა პარტიებმა პასუხისმგებლობა აიღეს, რომ არ გამოიყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსებს საარჩევნო პროცესში უპირატესობის მოსაპოვებლად. ასევე, არ გამოიყენებდნენ სიძულვილის ენის, ქსენოფობიური ან/და მუქარის შემცველი გამონათქვამებს და ა.შ. მათ შორის, თავს შეიკავებდნენ, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური და სხვა სახის ადმინისტრაციული აქტივების გამოყენებისგან, გარდა კანონით ნებადართული შემთხვევებისა.<sup>12</sup>

მონიტორინგის პროცესში, მედიის ინსტიტუტმა მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოიყენა კოდექსის ის ნორმები, რომლებიც უშუალოდ პოლიტიკოსების რიტორიკას მიემართება და კონსტრუქციული საარჩევნო კამპანიის წარმოებას ემსახურება. *კერძოდ:*

- *საქმიანობის განხორციელება ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;*
- *სიძულვილის ენის, ქსენოფობიური ან/და მუქარის შემცველი გამონათქვამების არგამოყენება;*
- *მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა, ძალადობისა და მისი გამოყენებისაკენ მოწოდების აკრძალვა;*
- *საგნობრივ, პროგრამაზე და საკითხებზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიის წარმოება, კონკურენტების ღირსების პატივისცემა, პიროვნული შეურაცხყოფისგან თავის შეკავება;*
- *სხვა კანდიდატების შესახებ, უკანონოდ მოპოვებული ან /და ყალბი ინფორმაციის გამოყენებისა და განზრახ გავრცელების, ცნობების ფაბრიკაციისა და ფალსიფიკაციის აკრძალვა;*
- *საარჩევნო კამპანიის წარმოებისას თავის შეკავება ისეთი საჯარო გამოსვლების, განცხადებების, საავიტაციო მასალის (მედია, ვიდეო, აუდიო, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცელებისგან, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ლალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, რომელიც წაახალისებს სიძულვილს, დაპირისპირებას და კონფლიქტს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით;*
- *მედიასაშუალებებისთვის, ცილისწამებლური, დაუსაბუთებელი ცნობების სხვა პოლიტიკური სუბიექტების, მათი წევრების შესახებ არ გადაცემა; საჯაროდ დაგმობა მედიის ან მედიის ცალკეული წარმომადგენლის ქმედებების და განცხადებების, რომლებიც შეიცავს მუქარას, ცილისწამებას, ან შეურაცხყოფას ამომრჩევლის ან საარჩევნო სუბიექტის მიმართ.*

<sup>12</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3r9fTGf>.



## პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიები

### დისკრედიტაციული კამპანიები ოპოზიციის წინააღმდეგ

როგორც წინასაარჩევნო, ისე პოსტსაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე კამპანია:

1. **ოპოზიცია დესტრუქციული და რადიკალური ძალაა და ამბოხს გეგმავს;**
2. **სააკაშვილი წარმოადგენს ოპოზიციის ბელადს; მთელი ოპოზიცია ნაციონალურ მოძრაობას ექვემდებარება;**
3. **დავით გარეჯი საქართველოა, როცა ოპოზიცია საწინააღმდეგოს ამტკიცებს.**

ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანიით გამოირჩეოდა ტელეკომპანია „იმედი“ მონიტორინგის პერიოდში, „იმედის“ ორი გადაცემის - „არენას“ და „ფეისბურგის“ ეთერში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა პროპაგანდის ტექნიკა - **ადჰომინემ**, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციებსა თუ პიროვნებებზე თავდასხმასა და მათ დემონიზებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ეს ტექნიკა გამოყენებული იყო არა მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკოსების თუ გადაცემების წამყვანების მიერ, არამედ ცალკეულ სიუჟეტებშიც.

### **მაგალითები:**

➤ **გადაცემა „არენა“, სიუჟეტი:** „(ნიკა მელია) გამბედაობის მაგალითს აძლევს თანაპარტიელებს, მაგრამ როდესაც მუშტის ქნევა იწყება, იმალება...მელიისებური ეშმაკობით აყალმაყალს ტეხს, ერთგან, მეორეგან შემდეგ უჩინარდება მოფარებულიდან უყურებს სეირს-როგორ უსწორდებიან ერთმანეთს სხვები.“<sup>13</sup>

➤ **გია აბაშიძე, წამყვანი, გადაცემა „ფეისბურგი“:** „მაღალი ალბათობით ნაციონალური მოძრაობა კვლავაც შეეცდება რამდენიმე წაგებულ უბანზე დაძაბულობის კერების შექმნას. სავარაუდოდ პირველ ნოემბერს კარვებით, სასტვენებით და ბოქლომებით ხმაურიან სირბილსაც არ მოერიდებიან. მაგრამ იმასაც ვნახავთ, როგორი ამაო იქნება მათი შრომა და გარჯა, რადგან ამ მნიშვნელოვან არჩევნებში მოიგებს ქართული საზოგადოება, რომელიც არ დაუშვებს ჯალათების, პოლიტიკანებისა და საქართველოს წინააღმდეგ მეზრძოლი სექტის უკან დაბრუნებას“.<sup>14</sup>

➤ **გია აბაშიძე, წამყვანი, გადაცემა „ფეისბურგი“:** „რესპუბლიკელები 0%-იანი პოლიტიკური ძალაა და მათ სამიზნეს ჩვენი ფასეულობები, ფუნდამენტური ღირებულებები და ეკლესია წარმოადგენს. ამ ყველაფერს ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს-მიმბაძველობა, სექტის ბელადის

<sup>13</sup> იხ.: იმედი, არენა. 2020 წლის 20 ოქტომბერი. <https://bit.ly/38QYonZ>.

<sup>14</sup> იხ.: იმედი, გადაცემა „ფეისბურგი“, 2020 წლის 31 ოქტომბერი. <https://bit.ly/39CXrO3>

საკაშვილის გავლენა... ასევე მდაბიობა, ვულგარულობა და საკუთარი თავის იმაში დარწმუნება, რომ ხალხს ყველაფერი ძალიან სწრაფად ავინყდება.”<sup>15</sup>

➤ **გადაცემა „არენა“, სიუჟეტი:** „გვარამია დესტრუქციული ოპოზიციის განზოგადებული სახეა. ის ღიად ამბობს, რომ ფაქტები არ აინტერესებს და ყველაფერი ისე უნდა იყოს როგორც პარტიას სჭირდება”<sup>16</sup>

ამ შინაარსის გზავნილები ისმოდა თითქმის ყველა გადაცემაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გამოყენებული იყო ასევე **Ad nauseum-ის** ტექნიკა, რაც ერთი და იმავე გზავნილების გამეორებას გულისხმობს. ასევე, **Ad nauseum-ის** ტექნიკა იყო გამოყენებული **“გარეჯი საქართველოს”** კამპანიაში. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის დღეს, სლოგანი - **“გარეჯი საქართველოა!”** იყო გამოსახული, რომელიც ეთერიდან არჩევნების შემდეგ მოიხსნა, თუმცა ეს გზავნილი ეთერში არჩევნების დასრულების შემდეგაც ჟღერდებოდა.

ოპოზიციის ერთ ნაწილს, ტელეკომპანია იმედის ორივე გადაცემაში წამყვანები განმეორებითად მოიხსენიებდნენ როგორც **„რადიკალურ ოპოზიციას“**, რაც, თავის მხრივ, ქართული ოცნების წარმომადგენლების პოზიციასაც ასახავს<sup>17</sup>. ასევე, შეინიშნებოდა ოპოზიციის ორ ნაწილად - **„რადიკალურ“** და **„კონსტრუქციულ“** ფრთად დაყოფა.

აღსანიშნავია, რომ გადაცემა „ფეისბურგის“ ეთერში რეგულარულად ხდებოდა არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, არამედ ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებების დისკრედიტაცია და მათი ე.წ. **„ნაცტელევიზიებად“** მოხსენიება. განსაკუთრებულ სამიზნეს კი, ტელეკომპანია **„მთავარი არხის“** დირექტორი, ნიკა გვარამია წარმოადგენდა.

#### **მაგალითები:**

➤ **გია აბაშიძე, წამყვანი:** „ნაცოპოზიციის ინფორმაციის გავრცელების საშუალებები, რომელთა შორითაც განსაკუთრებული რადიკალიზმითა და ტოქსიკურობით ტელეკომპანიები - მთავარი, პირველი და ფორმულა, სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ცდილობენ დღევანდელი ხელისუფლების იმიჯის შელახვას და გამუდმებით სააკაშვილის ეპოქის პროპაგანდას ეწევიან. მათ ხომ საკუთარი თავების აღმშენებლობის პერიოდში დაბრუნების მანია კლავთ.”<sup>18</sup>

ანალოგიური გზავნილები ვრცელდებოდა ტელეკომპანია **“პოსტTV-ის”** საშუალებებითაც, სადაც განსაკუთრებულად ხშირი იყო **სიძულვილის ენის გამოყენება, ოპოზიციის დესტრუქციულ ძალად წარმოჩენა** და მოლოდინის შექმნა, რომ ოპოზიციის მხრიდან არჩევნებზე პროვოკაციებია მოსალოდნელი:

<sup>15</sup> იხ.: იმედი, გადაცემა “ფეისბურგი”, 2020 წლის 27 ნოემბერი. <https://bit.ly/39yOxRY>.

<sup>16</sup> იხ.: იმედი, გადაცემა “არენა”, 2020 წლის 15 დეკემბერი. <https://bit.ly/2XPnxb7>.

<sup>17</sup> იხ, მაგ. <https://bit.ly/2M4gNUB> ; <https://bit.ly/3c85RQE>

<sup>18</sup> იხ.: იმედი, “ფეისბურგი”, 2020 წლის 20 ნოემბერი, <https://bit.ly/3o34DZ5>.

➤ **ლიზა გეგეჭკორი, წამყვანი, მედია რენტგენი:** „ნაცმობი არის სასტიკი არსებათა სექტა, სასტიკი, უღირს და უთავმოყვარეო ადამიანებთა ნაკრები.“<sup>19</sup>

➤ **შალვა რამიშვილი, წამყვანი, სამნი & Co. .:** „ბლუ მერაბიშვილი, ბლუს ვამბობ მეტყველების დეფექტის გამო კი არა, არამედ ბლუ ტიპია, და მისი ამფსონები, რა თქმა უნდა, რაღაც სისულელეს გეგმავენ (არჩვენებზე).“<sup>20</sup>

**ცრუ განზოგადება,** ისევე როგორც **სიმულაციური მტკიცებულებების შექმნა** იყო გამოყენებული მაშინაც, როცა ტელეკომპანია იმედის ეთერში ისმოდა ბრალდებები ოპოზიციის პრორუსულ ორიენტაციაზე, ან/და ოპოზიციისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრაზე კონკრეტული მოვლენებიდან გამომდინარე, რომლებსაც, რეალურად, ამ ბრალდებასთან კავშირი ძნელად თუ შეიძლება მოვუძებნოთ.

**მაგალითი:**

➤ **ლევან ნიკოლაიშვილი, გადაცემა „არენა“ :** „შეერთებული შტატები გვილოცავს (ქართული ოცნების გამარჯვებას საპარლამენტო არჩევნებში), დასავლეთ ევროპის ქვეყნები გვილოცავს, ყველა დონეზე, ეუთო, **ODIHR**-ი... არ მოგვილოცა რუსეთის ფედერაციამ. რატომღაც საეჭვოდ ემთხვევა, რომ არ უხარია რუსეთს და არ უხარია ოპოზიციას...“<sup>21</sup>

ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებში, ასევე ვხვდებით **ემოციებზე, კერძოდ კი, შიშზე აპელირების ტექნიკის** გამოყენების შემთხვევებს, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. აქცენტი კეთდებოდა იმ სავარაუდო თუ, პროპაგანდისტის პოზიციის მიხედვით, გარდაუვალ ნეგატიურ შედეგებზე, რაც ამჟამინდელი ოპოზიციის ხელისუფლებაში დაბრუნებას მოჰყვებოდა. მსგავსი გზავნილები გხვდებოდა, მაგალითად, „საქინფორმის“ ვებგვერდზე:

➤ **“საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო სამუდამოდ დაივიწყებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს... თუ ოპოზიციამ წარმატებას მიაღწია არჩევნებში და სააკაშვილი დაბრუნდა საქართველოში, მეტადრე კოალიციური მთავრობის მეთაურად, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი შეიძლება სამუდამოდ დაივიწყოთ: დღევანდელი გამჭვირვალე საზღვრები მთლიანად ჩაიკეტება უკვე სრულფასოვანი საზღვრების დაცვა გაორმაგდება.“**<sup>22</sup>

ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანია, ასევე აქტიური იყო ტელეკომპანია “ობიექტივის” “ლამის ეთერში”, რომელიც ასევე მოექცა მედიის ინსტიტუტის დაკვირვების ქვეშ.

<sup>19</sup>იხ.: პოსტ TV. 2020 წლის 2 დეკემბერი. <https://bit.ly/3o2ngwg>.

<sup>20</sup> იხ.: პოსტ TV. 2020 წლის 30 ოქტომბერი. <https://bit.ly/2~MaxaP6>

<sup>21</sup> იხ.: იმედი, “არენა“, 3 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/3qDRur7>

<sup>22</sup> იხ.: საქინფორმი, 31 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/2LLTNd0>

ძირითადი ტენდენცია, რომელიც წინასაარჩევნოდ ობიექტივის “ღამის სტუდიაში” იკვეთებოდა, იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დემონიზება. არამხოლოდ გადაცემის სტუმრები, არამედ თავად ჟურნალისტებიც კი, ისეთი ეპითეტებით მოიხსენიებდნენ ნაციონალურ მოძრაობას, როგორცაა: „ქართველ-ჭამია“, „სისხლის სუნი რომ უდით ისეთი“.<sup>23</sup> მსგავს რიტორიკას ჰქონდა ადგილი როგორც წამყვანების, ისე სტუმრების (ძირითადად, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლების) მხრიდან. გამოყენებული იყო ემოციებზე, კერძოდ, შიშზე აპელირების ტექნიკა, როცა მომხსენებლები ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში შესაძლო დაბრუნების შედეგებზე აკეთებდნენ აქცენტს:

➤ **დავით თარხან მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „მართლა ჩამოვადგებთ ამ ხელისუფლებას, გეუბნებით. მაგრამ, აი, ესენიც ხომ ჩვენი გასაგლეჯები იქნებიან (ნაციონალური მოძრაობა), მე მინდა ვაიგოს ქართველმა ხალხმა - ამათი მომრევი, ჩვენს გარდა, არავინ არ არის. ჩვენ ამათ დავანგრევთ, არავინ არ არიან ესენი. ეს არის მშიშარა ხალხი - სააკაშვილი და ბოკერია.“<sup>24</sup>

➤ **ზაზა სიამაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** “ესენი თუ დაბრუნდებიან” (ნაციონალური მოძრაობა), ვისაც კი მიწვდებიან, ყველას დაიჭერენ.“<sup>25</sup>

ასევე, პატრიოტთა ალიანსის წევრების მხრიდან, მათ მიმართ არსებულ პრორუსულობისა და ქსენოფობიის ბრალდებებზე საპასუხოდ, ადგილი ჰქონდა კონტრბრალდებებსა და მცდარ განზოგადებებს. ამასთან დაკავშირებით, **მალხაზ თოფურია**მ განაცხადა:

➤ „მე მეძახიან რუსეთუმეს და ამით მაყენებენ უდიდეს შეურაცხყოფას. არა და მე სულ ვიძახი, რომ აშშ არის ჩვენი პარტნიორი და ოპოზიცია ნათელაშვილის ოფისში იკრიბებოდა - ნათელაშვილი იძახდა, რომ აშშ ჩვენი ოკუპანტია. ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა პარტია არის პუტინის აგრესიული ფრთის ანასხლეტები.“<sup>26</sup>

### **დისკრედიტაციული კამპანიები ხელისუფლების წინააღმდეგ**

ძირითადი ტენდენციები

1. **საქართველოში არის ოლიგარქიული, ერთპიროვნული, ავტორიტარული მმართველობა;**

2. **ქართული ოცნების ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, საქართველო დაიღუპება/ალარ იარსებებს/გახდება რუსეთის ნაწილი;**

3. **ქართული ოცნების მმართველობა - კრიმინალური მმართველობაა.**

მეორე მხრივ, ოპოზიციურად განწყობილ არხებზე, აქტიურად მიმდინარეობდა დისკრედიტაციული კამპანიები ხელისუფლების წინააღმდეგ. “მთავარი აქცენტების” წამყვანი ბიძინა ივანიშვილს, როგორც **“მონათმფლობელს”**, ხოლო

<sup>23</sup> იხ.: ობიექტივი, ღამის სტუდია, 29 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/38WCCy2>.

<sup>24</sup> იხ.: ობიექტივი, “ღამის სტუდია”, 29 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/38WCCy2>.

<sup>25</sup> იხ.: ობიექტივი, “ღამის სტუდია”, 9 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/365LG20>.

<sup>26</sup> იხ.: ფორმულა, 20 ოქტომბერი, 2020 <https://bit.ly/2KBR5Gt>.

“ქართულ ოცნებას“ ქურდებად მოიხსენიებდა. ხშირად იყო გამოყენებული *ad hominem*-ის, ანუ *დემონიზაციის* ტექნიკა.

**მაგალითები:**

➤ **ნიკა გვარამია, წამყვანი, მთავარი არხი:** „მარტო დარჩენილი ქართული ოცნება აყალბებდა, ისევე როგორც იპარავენ ჩანგლებს რესტორნიდან, იმიტომ კი არა, რომ სჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ, უბრალოდ იმიტომ, რომ ავად არიან და ამ დაავადებას კლემპტომანია ჰქვია, ხოლო ამ კლემპტომანების მართველობას კლემპტოკრატია. ქურდობის მართველობა საქართველოში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ქურდებისაც, კანონიერ ქურდებსაც ვგულისხმობ, ისინიც ხომ ჩვენი მართველობის ნაწილი არიან და ბიუჯეტის ქურდებიც, რაც მთავარია, მაგრამ საარჩევნო ხმების ქურდობა იმდენად სისხლში აქვთ, რომ მარტოდარჩენილებიც იპარავდნენ ხმებს.“<sup>27</sup>

➤ **ნიკა გვარამია, წამყვანი, მთავარი არხი:** „ბატონო ბიძინა, ჩაინერეთ ინდიკაციები თქვენი დასასრულის და ბოლო ბოლო, ცესკოს არა, მაგრამ იქნებ, თქვენი ინდიკაციებით მიხვიდეთ იმ დასკვნამდე, რომ, ჯობია, აახვიოთ აქედან, ვიდრე ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ ქართველი ხალხის ხელისუფლების უზურპაციაზე წახვიდეთ, რადგან, მაშინ შეიძლება ველარც აახვიოთ“.<sup>28</sup>

პოლიტიკოსები მხრიდან, რომელთა უდიდესი უმრავლესობა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს წარმოადგენდა, ასევე ხშირად იყო გამოყენებული **აპელირება შიშზე** და **მცდარი დილემა/მცდარი დიქტომია**. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებაში დარჩენას კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა, საქართველო აღარ იარსებებდა და ა.შ.

➤ **მიხეილ სააკაშვილი, ექსპრეზიდენტი** „აქ, ვილაცის საკარმიდამო საკითხი კი არ წყდება, თითოეულ ჩვენგანს ექნება თუ არა ქვეყანა, და ჩვენს შვილიშვილებს ექნება თუ არა ქვეყანა. და რომ ჰქონდეთ, ხვალ ეს წყდება და გადანყდება კიდევაც!“<sup>29</sup>

➤ **ნიკა გვარამია, წამყვანი,** „ხვალ წყდება საქართველოს ბედი. ხვალ გადანყდება საქართველო დარჩება თუ გახდება რუსეთის პროვინცია, კრასნოდარის “კრაის” მიუერთებენ მას, თუ შეუერთდება ევროკავშირს და დასავლურ სამყაროს. იქნება აშშ-ის მწყობრი სასამართლო სისტემა - მსგავსი, თუ გვექნება რუსეთის პროვინციის მოსყიდული სასამართლო.“<sup>30</sup>

ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები ისმოდა ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერშიც. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ოპოზიციური კანდიდატი, ქართული ოცნების კრიტიკის მიზნით, ცდილობდა საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემის სრულ დელეგიტიმაციას მისი ავტორიტარულ

27 იხ.: მთავარი არხი, 23 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/3padeKQ>.

28 იხ.: მთავარი არხი, 7 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/39PWemV>.

29 იხ.: მთავარი არხი, 30 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/3o1O6EJ>.

30 იხ.: მთავარი არხი, 30 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/3o1O6EJ>.

რეჟიმად წარმოჩენის მეშვეობით. ასევე, დაფიქსირდა **დემონიზების** და **მცდარი განზოგადების ტექნიკების** გამოყენების არაერთი შემთხვევა.

➤ **ირმა ნადირაძე, ევროპული საქართველო:** „საქართველო უფრო დაზარალდა, იმიტომ, რომ აქ არის ავტორიტარული, ერთი კაცის მმართველობა.... ამ პრობლემებში ქართულმა ოცნებამ ჩააყენა ხალხი.“<sup>31</sup>

➤ **არმაზ ახვლედიანი, ევროპული საქართველო:** „სუსტი მართავს ქვეყანას, თვითმმართველობას, არადემოკრატიულად არჩეული მთავრობა და მეფე ღმერთი ივანიშვილი. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი რელიგიური გრძნობები მას არ ადარდებს.“<sup>32</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტთა ალიანსის დისკრედიტაციული კამპანიები ძირითადად ოპოზიციას მიემართებოდა, პარტიის წევრების თუ ობიექტივის ჟურნალისტების მიერ ასევე აქტიურად ხდებოდა ხელისუფლების დისკრედიტაცია და მის ოპოზიციასთან გარიგებაში დადანაშაულება. ობიექტივის ეთერში აქტიურად იყო გამოყენებული **მცდარი დიქტომია** რომლის შინაარსიც შემდეგი იყო: ნაციონალური მოძრაობა და მასთან ერთად, გაერთიანებული ოპოზიცია ბოროტებას წარმოადგენენ, ქართული ოცნება ხელს უწყობს ამ „ბოროტების“ შენარჩუნება-გადარჩენას (ამაში მთავარ დამნაშავედ ირაკლი კობახიძე, მამუკა მდინარაძე და რამდენიმე სხვა პოლიტიკოსი მოიაზრებოდნენ, რომლებიც განიხილებოდნენ ნაციონალურ მოძრაობასთან იდეოლოგიურად დაახლოებულად). ამიტომაც, ერთადერთი არჩევანი, „ობიექტივის“ გზავნილების მიხედვით, არის „პატრიოტთა ალიანსი“.

#### მაგალითები:

➤ **“ბევრმა მისცა ხმა პატრიოტთა ალიანსს, მაგრამ მოპარეს, რადგან, ხომ უნდა გაეცოცხლებინათ „ნაც. მოძრაობა“ და სხვები?”. - ილია ჩაჩიბაია, წამყვანი.<sup>33</sup>**

➤ **“(ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წევრები) ერთად მღერიან, თუკი სადმე მოუხვდებათ შესაძლებლობა.” - თამთა როგავა, წამყვანი.<sup>34</sup>**

## ანტიდასავლური პროპაგანდა

ანტიდასავლური პროპაგანდის ნაწილში გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

1. **აუცილებელია რუსეთთან თანამშრომლობა და რეალური “პრორუსული” ძალების ფორმირება;**

2. **დასავლეთი საქართველოს შიდა საქმეებში ერევა, საგარეო პოლიტიკას ევროპის და ამერიკის ინტერესების შესაბამისად ვგეგმავთ;**

<sup>31</sup> იხ.: ფორმულა, 15 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/3cduqvF>.

<sup>32</sup> იხ.: ფორმულა, 19 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/2Y3sOW4>.

<sup>33</sup> იხ.: ობიექტივი, “ლამის სტუდია“, 8 ნოემბერი, 2020.

<sup>34</sup> იხ.: ობიექტივი, “ლამის სტუდია“, 30 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/396owu1>.

### **3. ლიბერალიზმი არის აგრესიული ძალა, რომელიც ქართულ იდენტობას საფრთხის ქვეშ აყენებს.**

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ ანტიდასავლური პრესის თავდასხმის მთავარი სამიზნე იყო ლიბერალიზმი, დასავლეთი, დემოკრატია, ისევე, როგორც კონკრეტული დასავლელი აქტორები.

**მცდარი დილემის ტექნიკა**, რომელიც ორი რადიკალური ალტერნატივის წარმოდგენას და ერთ-ერთისთვის უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს, გამოყენებული იყო საქართველოს ევროკავშირში შესაძლო განევრიანებასთან მიმართებით:

➤ *“ზრუნველობის კომუნიზმისგან განსხვავებით, ამჟერად, ევროკავშირში განევრიანების შემთხვევაში, უარი უნდა ვთქვათ საკუთარ ეკონომიკაზე, საკუთარ მრეწველობაზე, ეროვნულ ინსტიტუტებზე, არმიაზე.”<sup>35</sup>*

პრორუსული პროპაგანდის მიმართულებით, ასევე აქტიურად გამოიყენებოდა **მცდარი განზოგადება**. რუსეთი წარმოდგენილი იყო როგორც ერთმორწმუნე და ტრადიციების მიმდევარი, როგორც გარყვნილი და დესტრუქციული:

➤ *„მოკლედ, ან ლგბტ–სგან თავისუფალი, ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი, ან დასავლელი ჰომო პედერასტიკუსები - ეს მარადიული ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას, გნებავთ, სატანასა და ღმერთს შორის...”<sup>36</sup>*

მეორე მხრივ, დემოკრატია, ასევე, **მცდარი განზოგადების** გამოყენებით, წარმოდგენილი იყო, როგორც ნეგატიური ფენომენი:

➤ *„დემოკრატია ავად არის, კორონავირუსისგან ვერ დაგვიცვა დემოკრატიათაც - პირიქით, რაც უფრო მეტი დემოკრატიაა ქვეყანაში, მით უფრო მეტია კორონავირუსიც, რაც აშშ-ის მაგალითმა დაამტკიცა. თუმცა, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა და შავმა ბუნტმა აშშ-ში აჩვენა, რომ ამერიკული დემოკრატიაც ავად არის!”<sup>37</sup>*

**ცრუ განზოგადებასთან** ერთად, აქტიურად გამოიყენებოდა **სიმულაციური მტკიცებულებების შექმნა**, რომელიც ისეთი ავთენტური დოკუმენტების/ფაქტების გამოყენებას გულისხმობს, რომლებიც მტკიცებულებების ილუზიას ქმნიან, მაგრამ რეალურად არარელევანტურია იმ მტკიცებებთან მიმართებით, რომელთა საილუსტრაციოდაც არის გამოყენებული:

➤ *„ვლადიმერ პუტინი ნოვო-ოგორიოვოს საპრეზიდენტო რეზიდენციიდან პასუხობდა მოსკოვში შეკრებილ, რუსეთის მტერ-მოყვარე ქვეყნების უამრავი ჟურნალისტის გაუფილტრავ კითხვებს,*

<sup>35</sup> იხ.: საქართველო და მსოფლიო, 22 დეკემბერი, 2020. <https://bit.ly/3oWvMOR>

<sup>36</sup> იხ.: საქართველო და მსოფლიო, 22 დეკემბერი, 2020. <https://bit.ly/3bSCRMK>

<sup>37</sup> იხ.: საქინფორმი, 2020 წლის 31 დეკემბერი. <https://bit.ly/3qwJCHV>.

თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთში გაცილებით მეტი დემოკრატიაა, ვიდრე აშშ-ევროპაში.<sup>38</sup>

ანტიდასავლურ გზავნილებში ინტენსიურად გამოიყენებოდა **ად ჰომინემ**, ანუ **დემონიზების ტექნიკა**, რომელიც როგორც დასავლეთის, დასავლური ფასეულობების, ევროკავშირისა და ნატოს, ასევე ლიბერალიზმის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონკრეტული პირების, მათ შორის, ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ იყო მიმართული:

➤ „ჯორჯ სოროსის მიერ ქართული ოპოზიციის და პროტესტის სპონსორობამ, გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაცია, რაც საქართველოს აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან სავაჭრო და ეკონომიკურ კავშირებზე უარყოფითად აისახა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია საქართველოში ეკონომიკური პრობლემების წარმოშობა... რვაფეხას მსგავსად, ჯორჯ სოროსმა თავისი "საცეცებით" მოსდო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს.“<sup>39</sup>

➤ „რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ლიბერალთა ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი -სასტიკი აგრესიაა. ისინი პირდაპირ გადადიან იმ ხალხის განადგურებაზე, ვინც მათ არ ეთანხმება და ამის ნათელი მაგალითი ცოტა ხნის წინათ ამერიკაში განვითარებული მოვლენებია, როცა ლიბერალიზმის სახელით დაარბიეს მაღაზიები, ძეგლები და იმავე ლიბერალიზმის სახელით, ფეხის დაბანის რიტუალიც არაერთხელ გამართეს.“<sup>40</sup>

➤ „საკუთარი ინტერესების სარეალიზაციოდ, აშშ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მთელ ქსელს ქმნის, რომელთა მთავარი მიზანი მეტ-ნაკლებად ლოიალური მთავრობის შექმნა და საზოგადოებაში არაპოპულარული რეფორმების გატარებაა. დღეს მოქმედი სტრუქტურების რაოდენობა 10 ათასზე მეტს აღწევს. ამ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სფერო თითქმის მთელ ქვეყანას მოიცავს.“<sup>41</sup>

ანტიდასავლური სენტიმენტები ასევე აშკარა იყო როგორც ოპოზიციის ნაწილის, ისე ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორის მხრიდან. ამ ნაწილში, ძირითადად გამოვლინდა **ad hominem**, ანუ დემონიზების ტექნიკის გამოყენება. ნიკა გვარამია, არაერთხელ, ღიად დაესხა თავს დასავლელ ელჩებს და ისინი ანტიქართულ ქცევაში დაადანაშაულა. ელჩებზე თავდასხმას ჰქონდა განმეორებითი ხასიათი, შესაბამისად, გამოყენებული იყო **ad nauseum**-ის ტექნიკა:

<sup>38</sup> იხ.: საქართველო და მსოფლიო, 2020 წლის 22 დეკემბერი. <https://bit.ly/3nXjJ28>.

<sup>39</sup> იხ.: საქინფორმი, 2020 წლის 27 ოქტომბერი. <https://bit.ly/3oVYEXu>.

<sup>40</sup> იხ.: საქართველო და მსოფლიო, 2020 წლის 8 დეკემბერი. <https://bit.ly/3nWlr2S>.

<sup>41</sup> იხ.: საქინფორმი, 2020 წლის 6 ნოემბერი. <https://bit.ly/3o07Ybi>.



➤ **ნიკა გვარამია, მთავარი არხი:** „რუსეთისგან კილერით დევნილ გიორგი გაბუნიას რომ ამერიკის ვიზას არ აძლევს და თავისი ხელიდან სასიკვდილოდ იმეტებს, აი, ესაა დღევანდელი ამერიკის ელჩი. არც ესაა სირცხვილი? არც ეს არ უნდა ითქვას? აქაც ნამუსი უნდა შევუნახოთ იმიტომ, რომ ამერიკის ელჩია? არა, ბატონებო! სიმართლე - სიმართლეა, გინდა ამერიკელს ეხებოდეს, გინდა ფრანგს და გინდა - გერმანელს.“<sup>42</sup>

➤ **ნიკა გვარამია, მთავარი არხი:** “ამერიკის შეერთებულ შტატებს ყანის ბოლო, აი, სოფლის ბოლო ოლიგარქმა დაუბლოკა ელჩი... ჩამოვიდა ქალბატონი დეგნანი და სრული სიჩუმე. ამის შემდეგ, ჩვენ ვაკვირდებით ერთ-ერთ ყველაზე ძალადობრივ კამპანიას საქართველოს ისტორიაში, წინასაარჩევნოს, დახვრეტები მანქანების, ხალხის ფეხებში სროლა, სრული სიჩუმე ორივე საელჩოსგან. პირდაპირ გეუბნებით, პირდაპირ ეთერში ვამბობ, სრული, აბსოლუტური სიჩუმე და ამის შემდეგ, ის, რაც გააკეთა ქართულმა ოცნებამ. ჩემი აზრით, არ არის გასაკვირი ამის შემდეგ და ზუსტად ქალბატონი დეგნანი და ბატონი ჰარცელი არიან პასუხისმგებლები ამგვარი წინასაარჩევნო გარემოს გატარებისთვის და მათ შორის - შედეგებისთვის... იმიტომ იბრძვიან ეხლა იმისთვის, რომ ეხლა რამე გამოვიდეს, რომ მათ შორის მათი უმოქმედობა არის ამ ყველაფრის წინაპირობა.“<sup>43</sup>

საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა ელჩები „მოძრაობა ხალხისთვის“ ლიდერმა, ანა დოლიძემაც:

➤ “ახლა ელჩების როლი – მეგობრებო, ამას ასდის კოლონიალიზმის სუნი, როდესაც თქვენ არ მოგნონთ და მეც არ მომნონს, როცა ელჩები ამბობენ ისეთ რალაცებს, რომელიც ამეტებს მათ უფლებამოსილებას, ფაქტობრივად, მიანიშნებს ჩვენს შიდა საქმეებში მათ ჩარევას.”<sup>44</sup>

## Covid-19 და პროპაგანდა

ძირითადი ტენდენციები:

1. კორონავირუსის შემთხვევების ზრდა ხელისუფლების არაეფექტიანი მუშაობის შედეგია;
2. კორონავირუსის შემთხვევების ზრდა ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიის აქტივობების და მრავალრიცხოვანი შეკრებების შედეგია;
3. კორონავირუსთან დაკავშირებული აჟიოტაჟი არჩევნებზე დაბალ აქტივობას ემსახურება;
4. კორონავირუსის საწინააღმდეგო დასავლური ვაქცინა არაეფექტური და საფრთხის შემცველია.

<sup>42</sup> იხ: მთავარი არხი, 2020 წლის 12 დეკემბერი. <https://bit.ly/35YGFic>.

<sup>43</sup> იხ.: მთავარი არხი, “მთავარი აქცენტები” - 8.12.2020. <https://bit.ly/36bmoPM>.

<sup>44</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/39U7uyu>.

ანტიდასავლური არხებით, აქტიურად ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ დასავლური ქვეყნების ვაქცინა, რუსული ვაქცინისგან განსხვავებით, საშიში ან არაეფექტურია:

➤ *“შესაძლოა, ადამიანის გენზე დამზადებული რუსული ვაქცინები, რომლებიც, თუ ეს ბიზნეს-რეკლამა არ არის, 95% ეფექტიანობით გამოიჩინება, გაამართლონ კიდევაც, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის - მეორე აცრა პირველიდან მხოლოდ ორ კვირაში, თუ ერთი თვის შემდეგ კეთდება. ხოლო, 50%-იანი ეფექტიანობის, მაიმუნების გენზე დამზადებული ამერიკული თუ ინგლისური ვაქცინებით, დაე, მინისტრი ტიკარაძე და გაპიარებული ქართველი ინფექციონისტები - მთავარი კლინიკისტები თავად აიცრან!”<sup>45</sup>*

კორონავირუსთან დაკავშირებით, აქტიურად გამოიყენებოდა შიშზე აპელირების ტექნიკა:

➤ *“თუ სიკვდილი არ გსურთ, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ საავადმყოფოში გადაყვანაზე და, მით უმეტეს - COVID-სასტუმროში, საიდანაც, ვითომდა, ტესტებზე, ანალიზებზე და კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე გატარებენ! თქვენი მდგომარეობა ამ უაზრო ტრანსპორტირებაში გაუარესდება და გზაში მოგკლავენ! საავადმყოფოში კი, ხელოვნურ სუნთქვაზე გადაგიყვანენ, რათა თავი*

➤ *ზედმეტად არ შეინუხონ! მაგრამ აპარატიდან უკვე აღარ მოგხსნიან - მარტო გათიშავენ, როცა სულს დალევთ!”<sup>46</sup>*

ამასთან ერთად, პოლიტიკოსთა მიერ ხდებოდა კორონავირუსის გამოყენება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მიზნით. ამ ნაწილში, გამოიკვეთა **“კონტრბრალდებების ტექნიკის”** გამოყენება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მთავრობა და ოპოზიცია ერთმანეთს აბრალებდა ვირუსის გავრცელების მატებას. უფრო კონკრეტულად, მთავრობამ ვირუსის ტემპის მკვეთრ ზრდა **“უპასუხისმგებლო პოლიტიკურ კამპანიებს და უპასუხისმგებლო აქციებს”** დააბრალა. ინფრასტრუქტურის მინისტრისა და ვიცე-პრეზიდენტის, მაია ცქიტიშვილის განცხადებით, კორონავირუსის მზარდი შემთხვევები აქციებით აიხსნება, **„თუმცა, პოლიტიკური პროცესი არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება, შესაბამისად, ვერ შევაჩერებდით კონსტიტუციურად დადგენილ საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესს.“<sup>47</sup>** კორონავირუსის გავრცელების ტემპის ზრდა ოპოზიციის საპროტესტო აქციებით ახსნა **გიორგი გახარია**მაც.<sup>48</sup>

გარდა ამისა, ტელეკომპანია “იმედის“ ეთერით, აქტიურად ვრცელდებოდა გზავნილები იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიცია განზრახ დგას პანდემიის სამსახურში და კორონავირუსის შემთხვევების ზრდა ოპოზიციის ბრალია:

<sup>45</sup> იხ.: საქინფორმი, 3 დეკემბერი, 2020. <https://bit.ly/3qC6FRx>.

<sup>46</sup> იხ.: საქინფორმი, 2020 წლის 3 დეკემბერი. <https://bit.ly/39KUCLd>.

<sup>47</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3iu40Xk>.

<sup>48</sup> იხ.: ინფორმაციას სრულად: <https://bit.ly/3bYaV9V>

➤ **გია აბაშიძე, წამყვანი:** „სიძულვილის ჭარბი ენა, პერსონალური დამუნათება, სახელმწიფო ინსტიტუტების მიზანმიმართული დისკრედიტაცია, ფეიკნიუსები, მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მიკერძოება და რაც მთავარია, დეკლარირებულად დგომა კორონა ვირუსის მხარეს - ეს იმ თემების მცირე ჩამონათვალია, რაც ქართულმა აუდიტორიამ, კონკრეტულად 8 ნოემბერს, ნაცმოძრაობის ტელეარხებზე, სოციალური ქსელების ტრანსლაციებსა თუ ფეისბუქ სტატუსებში იხილა.“<sup>49</sup>

მსგავს ბრალდებებს, ოპოზიციამ ხელისუფლებას ოპოზიციურად განწყობილ “მთავარ არხზე” კონტრბრალდებებით უპასუხა:

➤ **ხატია დეკანოიძე, ნაციონალური მოძრაობა,** „როდესაც საკუთარ მოსახლეობას, რომელსაც მოპარე არჩევნები და შემდეგ მოსახლეობა ამ არჩევნებს აპროტესტებდა, გამოვიდა და უსაფრთხოების წესების დაცვით იდგა, აბრალებ შენ ვირუსის გავრცელებას და ჩვენ კარგად გვახსოვს დენდროლოგიური პარკის გარშემო მოვლენები, გვახსოვს საზღვარი გახსნილი გაურკვეველი ტურისტებისთვის. ეს არის ამორალურობა, როდესაც ხელისუფლება საზოგადოებას აბრალებს იმას, რისი ვალდებულებაც თვითონ ჰქონდა.“<sup>50</sup>

➤ **სერგო ჩიხლაძე, სტრატეგია აღმაშენებელი; მთავარი არხი:** „შევახსენებ, რომ ოპოზიციას არ ჩამოუყვანია, ხელისუფლებამ შემოუშვა რუსი ტურისტები აჭარაში, საიდანაც დაიწყო აფეთქება. შევახსენებ გახარიას, რომ მათი პასუხისმგებლობა იყო 7 თვე მომზადებულიყვნენ მორიგი ტალღისათვის, რაც არ გააკეთეს.“<sup>51</sup>

შალვა ნათელაშვილის მტკიცებით, დადგენილია, რომ კორონავირუსი არ ვრცელდება დახურულ სივრცეებში და მითუფრო, მიტინგებზე, რაც თავის მხრივ, ყალბ ინფორმაციას წარმოადგენს. მისი თქმით, საპროტესტო აქციებზე ვირუსის გადაცემის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.<sup>52</sup>

ამასთან ერთად, ზოგი პოლიტიკოსი, როგორც წესი, ამომრჩევლის არჩევნებზე მოზიდვისა და ხელისუფლების ძალაუფლების შემცირების მიზნით, ცდილობდა კორონას საფრთხის დამცრობას და მის უმნიშვნელო პრობლემად წარმოჩენას. ამ კონტექსტში, **კარტების გადაწყობას** მიმართა “გირჩის” წარმომადგენელმა, იაგო ხვიჩიამ, რომელმაც განაცხადა, რომ ოცნება პანდემიის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს და ოპოზიციისა და მედიის მიერ პანდემიის საფრთხეზე საუბარი ამაში ხელის შეწყობაა.<sup>53</sup> „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელმა, ტარიელ კალანდაძემ კი, **კარტების გადაწყობით**, იგი გრიპის ვირუსს შეადარა და დაასკვნა, რომ - “არ არის კორონა საშიში და საპანიკო”. მან განაცხადა:

<sup>49</sup> იხ.: იმედი, 6 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/393qw6p>

<sup>50</sup> იხ.: მთავარი არხი, 26 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/392sDHH>.

<sup>51</sup> იხ.: ტვ პირველი, 28 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/3a4LcKL>.

<sup>52</sup> იხ.: ტვ პირველი, 28 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/3a4LcKL>.

<sup>53</sup> იხ. ტელეკომპანია ფორმულა, 19 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/2MaamPN>.

➤ *“ეს პანდემია არ იყო. პანდემია სხვა რაღაც არის. ვინც ფიქრობს, რომ პირველ ეტაპზე უფრო იოლად იყო და ახლა მეორე ტალღაა მძიმედ, ცდება. უბრალოდ, მაშინ არ იყო ამდენი ტესტი ჩამოტანილი და გამოვლენის საშუალება არ იყო. და ამიტომ იყო ასეთი ფონი, რომ მაშინ პირველად იოლად გადაიარა და ახლა ვართ პანდემიის საფრთხის ქვეშ. ყველას მოგიწოდებთ, რომ არჩევნების დღეს, დავირაზმით და მოვიდეთ არჩევნებზე.”<sup>54</sup>*

კორონავირუსის მიერ გამოწვეული მძიმე შედეგების სრულად მთავრობისთვის დასაკისრებლად, **“კარტების გადაწყობის”** ტექნიკას მიმართა პარტია **“მოქალაქეების”** წარმომადგენელმა, გენრი დოლიძემაც. იგი არსებულ კრიზისს და ბათუმში ტურისტების არ ყოფნას მთლიანად აბრალებდა მთავრობას და არ ითვალისწინებდა, რომ ტურიზმი სამთავრობო შეზღუდვების გარეშეც, კორონას სიტუაციაში ბევრად შემცირდებოდა:

➤ *“ (ხალხს) მთავრობის უაზრო რეგულაციების გამო, ტურისტები არ ჰყავთ და მძიმე დღეში აღმოჩნდნენ მაშინ, როცა ბანკებში აქვთ ჩადებული ყველაფერი და ბანკების ლუკმა შეიძლება აღმოჩნდნენ.” - გენრი დოლიძე, “მოქალაქეები”<sup>55</sup>.*

## პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტები

სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიასა და საუბნო საარჩევნო კომისიებში არაპარტიული წევრების შერჩევისა და საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელობის არჩევის პროცესში არაერთი საჩივარი დაინერა და „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის კონფრონტაცია რამდენჯერმე დაფიქსირდა. ამასთან დაკავშირებით, ცესკომ რამდენიმე ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ოპოზიცია საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობისთვის გააკრიტიკა<sup>56</sup>. ამის შემდგომ, პროტესტის ნიშნად, ბევრ მუნიციპალიტეტში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების „ვეროპული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ცესკოს მიერ მომზადებულ საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადეს.

საბოლოო ჯამში, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის დაცვა, ხელმომწერი პარტიების მიერ, თითქმის არ მომხდარა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, ერთმანეთის ურთიერთბრალდებების ფონზე, ქცევის კოდექსის დებულებებს ხშირად არღვევდნენ. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით

<sup>54</sup> იხ.: ტელეკომპანია ფორმულა, 19 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/2MaamPN>.

<sup>55</sup> იხ.: ტელეკომპანია ფორმულა, 19 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/2MaamPN>.

<sup>56</sup> იხ.: 1) ცესკოს განცხადება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ცრუ ბრალდებებთან დაკავშირებით; 21.09.2020. <https://bit.ly/2K8ROPf>; 2) განცხადება საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობებთან დაკავშირებით; 29.09.2020. <https://bit.ly/3oZINPY>; 3) განცხადება საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციისა და საარჩევნო გარემოს დაზიანების მცდელობასთან დაკავშირებით; 27.10.2020. <https://bit.ly/2KHYYmM>.

აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დღემდე რამდენიმე დღით ადრე - 2020 წლის 6 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან აფილირებულმა ფონდმა „ქართუმ“ თბილისისთვის 36 ჰექტარის ფართობის პარკის ჩუქების შესახებ გაავრცელა განცხადება<sup>57</sup>. 2020 წლის 21 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალი კამპუსი გახსნა<sup>58</sup>. საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ქართული ოცნება“ პირობას იძლეოდა, რომ ქუთაისში ფეხბურთის აკადემიას ააშენებდა, მოახდენდა 40,000 ჰა მიწის ირიგაციას და კერძო მფლობელებს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არსებული 1,200 000 ჰა მიწის მფლობელობის რეგისტრაციის უფლებას დართავდა<sup>59</sup>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პრობლემური იყო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ვიდეოკლიპი, რომელიც, როგორც დადგინდა, რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივების აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებას არღვევდა. ვიდეოკლიპი ანტითურქული შინაარსის იყო. პარტია 2000 ლარით დაჯარიმდა<sup>60</sup>. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ასევე გააკრიტიკეს ანტითურქული გზავნილების მქონე ბილბორდის განთავსებისთვის<sup>61</sup>.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, პოლიტიკოსების რიტორიკაზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად დაირღვა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს ავალდებულებს საგნობრივი, პროგრამაზე და საკითებზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიის წარმოებას; კონკურენტების ღირსებას პატივისცემას და პიროვნული შეურაცხყოფისგან თავის შეკავებას. პოლიტიკოსების განცხადებებში, ასევე, ხშირად ვხვდებოდით ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციას. ხშირად ისმოდა ძალადობის მოწოდებისა და წახალისების შესახებ განცხადებებიც. **შესაბამისად, გამოვლინდა შემდეგი მუხლების დარღვევის შემთხვევები:**

➤ **მუხლი 2.1 - ვანარმოებთ საგნობრივ, პროგრამაზე და საკითებზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიას, პატივს ვცემთ კონკურენტების ღირსებას, თავს შევიკავებთ პიროვნული შეურაცხყოფისგან.**

**მუხლის დარღვევის მაგალითები:**

- *თეა წულუკიანი, ქართული ოცნება:* „პოლიტიკური ბოიკოტი არის პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი, შესტი და მიუხედავად იმისა, რომ ქართულ რეალობაში ხანდახან ძნელია, განასხვაო პოლიტიკური მებოიკოტეები, დღეს, მართლა მებოიკოტეები და პოლიტიკოსები არიან, თუ ქუჩის საბოტაჟნიკები, ასე დავარქმევდი.“<sup>62</sup>

<sup>57</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2LLKZU1>.

<sup>58</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3myvPhM>.

<sup>59</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3nz5yRM>.

<sup>60</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3ar0X0m>.

<sup>61</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2KzIDbs>.

<sup>62</sup> იხ.: ტაბულა, 23 დეკემბერი, 2020 წელი. <https://bit.ly/35V2EzQ>.

- **სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში:** „უტიფრები არიან ეს ადამიანები და კობახიძე გახლავთ უტიფრობის აპოგეა, რაც კი მე მინახავს ქართულ პოლიტიკაში.“<sup>63</sup>

- **ლევან გოგიჩაიშვილი, ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი:** „რას აკონტროლებს გია ვოლსკი? მწვანე ღილაკზე თითის დაჭერის მეტი ამ ადამიანს პარლამენტში არაფერი არ უკეთებია და ხან მარიხუანის კანონპროექტზე ეთანხმებოდა ბიძინა ივანიშვილს და ხან მურუსიძეს „აპრავებდა“. ამ ადამიანებმა, რა უნდა აკონტროლონ? არიან ჩვეულებრივი მლიქვნელები, არიან ჩვეულებრივი მედროვეები.“<sup>64</sup>

➤ **მუხლი 1.5.** ხელს შეეწყობთ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მივმართავთ ძალადობას და არც მოვუწოდებთ მისი გამოყენებისკენ.

**მუხლის დარღვევის მაგალითები:**

- **ალეკო ელისაშვილი, მოქალაქეები :** „ჩემს მხარდამჭერებთან ერთად დავირაზმები, ნავალ საჩხუბრად, რომ ზურნა-დუდუკით და დაფთაფებით არ ჩაატარონ. ვილაცას კი არ ვემუქრები, უბრალოდ მართლა დიდი უპასუხისმგებლობაა კრიზისის ასე გაჭიანურება, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კრიზისის ფონზე.“<sup>65</sup>

- **მუხლი 2.4.** არ გამოვიყენებთ და განზრახ არ გავავრცელებთ უკანონოდ მოპოვებულ ან/და ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ, არ განვახორციელებთ ცნობების ფაბრიკაციას და ფალსიფიკაციას.

- **მუხლი 2.7.** საარჩევნო კამპანიის წარმოებისას თავს შევიკავებთ ისეთი საჯარო გამოსვლების, განცხადებების, სააგიტაციო მასალის (მედია, ვიდეო, აუდიო, სოციალური მედია, ბეჭდური) გავრცელებისგან, რომელიც გულისხმობს ცილისწამებას, ღალატის, ტერორიზმის, ან სხვა დანაშაულის დაბრალებას, ასევე, რომელიც წაახალისებს სიძულვილს, დაპირისპირებას და კონფლიქტს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით;

**მუხლების დარღვევის მაგალითები:**

- **ირაკლი კობახიძე, ქართული ოცნება:** „არ გამოვრიცხავ (გავრილოვი, რუსეთი და ევროპული საქართველო, ნაციონალური მოძრაობა ერთად მოქმედებდნენ) გამომდინარე იქიდან, რომ 10 დღით ადრე ჰქონდათ ტრანსპარანტები დაბეჭდილი. ინფორმაცია გვაქვს შესაბამისი სტამბიდან.“<sup>66</sup>

- **შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:** „ივანიშვილმა, გერმანიაში, სპეცრეისით ჩამოიტანა (კორონავირუსის წინააღმდეგ) ვაქცინა და აიცრა.“<sup>67</sup>

<sup>63</sup> იხ.: ტელეკომპანია პირველი, 24 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/2LOauVc>.

<sup>64</sup> იხ.: ტელეკომპანია პირველი, 17 ოქტომბერი, 2020. <https://bit.ly/3sGh0xU>.

<sup>65</sup> იხ.: რუსთავი 2, 23 ნოემბერი, 2020. <https://bit.ly/390yJSx>.

<sup>66</sup> იხ.: პალიტრანიუსი, 20 დეკემბერი, 2020. <https://bit.ly/3peoZAh>.

<sup>67</sup> იხ.: TV პირველი, 22 დეკემბერი, 2020 <https://bit.ly/396Ai7C>.

- მუხლი 1.3. საქმიანობას განვხორციელებთ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
- მუხლი 1.4. არ გამოვიყენებთ სიძულვილის ენას, ქსენოფობიური ან/და მუქარის შემცველ გამონათქვამებს.

მუხლების დარღვევის მაგალითები:

- **ოთარ შაორშაძე, პატრიოტთა ალიანსი:** „საშუალო სქესის ადამიანები ვერ მოერევიან ქართულ კულტურას.“<sup>68</sup>
- **მალხაზ თოფურია, პატრიოტთა ალიანსი:** „მე ვარ მომხრე, კი არ მოხდეს ლუსტრაცია, ვინ გეია და ვინ ..., ცოდვები არიან, კაცი მაღავს, სახლში მიდის შვილებს ეუბნება „კაცი ვარ“, ცოლს ებრიქება, „კაცი ვარ“, მაგრამ, თურმე, ხანდახან ქალია.“<sup>69</sup>
- **სოსო შატბერაშვილი, მემარცხენე ალიანსი:** „ზოგიერთი ჩვენი ბინადარი, რომელიც სტუმრად უნდა გრძნობდეს ჩვენთან თავს, პირიქით ჩვენ გვაგრძნობინებს სტუმრად თავს, ამასთან გვაქვს პრობლემა.“<sup>70</sup>
- **თეა წულუკიანი, ქართული ოცნება:** „რას ამბობთ, ძნელია თურმე ნიკა გვარამიას ოჯახს, რომ რას შევებიან? უთვალთვალევენ? მზეთუნახავი ჰყავს სახლში, რომ უთვალთვალევენ? თუ რატომ არის გაღიზიანებული?!“<sup>71</sup>
- **ირაკლი ოქრუაშვილი, გამარჯვებული საქართველო:** „შევიდოდა კაცი პარლამენტში, ქოცების ერთი-ორი ნაშის "ხათრით" და სამი-ოთხი ჩოილარის მისაჩუხანებლად. ჩემგან მოსულა ესეთი პოსტი...“<sup>72</sup>
- **თაკო ჩარკვიანი, სტრატეგია აღმაშენებელი:** „ირაკლი კობახიძეც, „კონსტიტუტუცო-ანალისტო“! „სწრაფი ტესტით“ რომ გავისტუმრებთ პოლიტიკიდან , მერე მიხვდებით, რომ ასე არ უნდა ისაუბროთ. რუსულ კორუფციაში ჩაძირულო „ქართულო ოცნებავ“, აი ეს „კონსტიტუტუციონალისტი“ რომ ვერ და არ მოაცილეთ ქართულ პოლიტიკას, აი მხოლოდ ამიტომ ხართ მასთან ერთად ფსკერზე.“<sup>73</sup>

## დასკვნა

<sup>68</sup> იხ.: ობიექტივი, 24 ოქტომბერი, 2020.

<sup>69</sup> იხ.: ობიექტივი, 26 ოქტომბერი, 2020 <https://bit.ly/39WQkQG>

<sup>70</sup> იხ.: ფორმულა, 20 ოქტომბერი, 2020 <https://bit.ly/3o2qMO9>

<sup>71</sup> იხ.: ტაბულა, 14 დეკემბერი, 2020. <https://bit.ly/3bZ7Vu2>

<sup>72</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3o2x4q0>

<sup>73</sup> იხ.: ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3p1Q9dq>

წინამდებარე ანგარიში ასახავს „მედიის ინსტიტუტის“ მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგებს. მასში ასახულია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პოლიტიკური პარტიების ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტები. ამავდროულად, იგი იმ პროპაგანდის ტექნიკების იდენტიფიცირებას ახდენს, რომლებსაც მედიასაშუალებები და პოლიტიკოსები წინა და პოსტსაარჩევნო პერიოდში იყენებდნენ.

მონიტორინგის ფარგლებში, პოლიტიკური პარტიების მიერ ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად კოდექსის **მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი** დაირღვა, რაც გულისხმობს საგნობრივ, პროგრამაზე და საკითებზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიას, კონკურენტების ღირსების პატივისცემას და პიროვნული შეურაცხყოფისგან თავის შეკავებას. რეალურად, წინასაარჩევნო კამპანია უფრო მეტად იყო დაფუძნებული ოპონენტების პიროვნული თვისებებზე თავდასხმასა და პიროვნულ შეურაცხყოფაზე, ვიდრე საგნობრივ და შინაარსობრივ მსჯელობასა და საარჩევნო პროგრამებზე. ამასთან ერთად, გამოვლინდა **1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის და 1-ლი მუხლის მე-4 ნაწილის** უხეში დარღვევის შემთხვევები, რომლებიც, შესაბამისად, საქმიანობის ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე განხორციელებასა და სიძულვილის ენის, ქსენოფობიური ან/და მუქარის შემცველი გამონათქვამების გამოყენებისგან თავის შეკავებას გულისხმობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „მედიის ინსტიტუტმა“ შეიმუშავა მეთოდოლოგიის ჩარჩო, რომელიც გულისხმობს მედიასაშუალებების მონიტორინგის ფარგლებში, მთავარი გზავნილებისა და ტენდენციების შეფასებისას, პროპაგანდის ტექნიკების იდენტიფიცირებას. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ყველაზე ხშირად გამოიყენება „*ad hominem*“, ანუ „*დემონიზების ტექნიკა*“, ასევე „*კონტრბრალდებები*“, „*მცდარი განზოგადება*“, „*კარტების გადაწყობა*“ და „*სიმულაციური მტკიცებულებების*“ შექმნა. აგრეთვე, ერთი და იგივე გზავნილები, ცალკეული არხების საშუალებით, რეგულარულად მეორდებოდა, რაშიც გამოვლინდა „*ad nauseam*“ ტექნიკის გამოყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიასაშუალებები მკვეთრად პოლარიზებული იყო, თითქმის არ მიმდინარეობდა პოლიტიკური დებატები. ამომრჩეველს ნაკლებად ჰქონდა პოლიტიკური პარტიების ხედვებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება. ამასთან, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მედიასაშუალებები ახდენდნენ არა მხოლოდ პოლიტიკური სუბიექტების, არამედ მათგან მკვეთრად განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიასაშუალებების დემონიზებასაც.